

## სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების (სდ) სერტიფიცირება

სამოქალაქო ავიაციის ს/დ-ს სერტიფიცირება ხდება სამოქალაქო ავიაციის ს/დ-ს სერტიფიცირების წესის შესაბამისად. სერტიფიცირება ხორციელდება 4 ეტაპად, რომელიც ითვალისწინებს: I. განცხადებისა და თანდართული საბუთების წარდგენას; განცხადებისა და თანდართული საბუთების წინასწარ განხილვას და შეფასებას სააგენტოში. II. განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმებას. III. სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას და სერტიფიკატის გაცემას. IV. სდ-ის საქმიანობაზე მუდმივ ზედამხედველობას.

### სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

სდ სერტიფიკატის მისაღებად, სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს.

განცხადებას უნდა ერთვოდეს:

კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის - სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სასწავლო კურსების ჩამონათვალი;

გ) სდ-ის სტრუქტურული სქემა;

დ) მასწავლებელთა (ამ „წესის“დანართი №1-ის შესაბამისად) და ინსტრუქტორთა (ამ „წესის“დანართი №3-ის შესაბამისად) მონაცემები, აგრეთვე მათი განათლების, კვალიფიკაციის და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი საბუთების (დიპლომი/ მოწმობა/სერტიფიკატი) ასლები;

ე) საავიაციო შემადგენლობის/პერსონალის(შემდგომ - საავიაციო პერსონალი)თეორიული და პრაქტიკული მომზადების სასწავლო პროგრამები;

ვ)სასწავლოსაგნებისა და ლიტერატურის (სახელმძღვანელო, კონსპექტი, წერილობითიდა/ანელექტრონული ვერსია და სხვა) სია, ამ „წესის“ დანართი №2-ის შესაბამისად;

ზ) საავიაციო პერსონალის პროფესიული მომზადებისათვის გათვალისწინებული საკაერო ხომალდების (შემდგომ - სასწავლო სხ), საავიაციო აღჭურვილობის, სწავლების ტექნიკური საშუალებების (შემდგომ - სტს) ჩამონათვალი;

თ) საწაფების ჩამონათვალი, მათი დანიშნულებისა და ძირითადი ტექნიკური პარამეტრების მითითებით;

ი) სასწავლო სხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაციის სახელმძღვანელო (შემდგომ - სეს);

კ) კურსანტების პროფესიული მომზადებისათვის გათვალისწინებული აეროდრომის (შემდგომ - სასწავლო აეროდრომი) ფრენების შესრულების ინსტრუქცია;

ლ) სასწავლო სხ-ის ექსპლუატანტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები იმ შესაძლო ზიანის საკომპენსაციოდ, რომელიც შეიძლება

მიადგეს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებს, კურსანტს ან მესამე პირებს ამ ექსპლუატანტის ქმედებით;

მ) სდ-ის სასწავლო პროცესისა და პროცედურების სახელმძღვანელო

#### **მომსახურების საფასური:**

##### **სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების (სდ) სერტიფიცირება:**

ა) სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირებაზე განაცხადის შეფასება/სერტიფიკატის გაცემა – 3750 ლარი;

ბ) თავისუფალი აეროსტატის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირებაზე განაცხადის შეფასება/სერტიფიკატის გაცემა – 2000 ლარი;

გ) სდ-ის სერტიფიკატის დანართში ცვლილების შეტანა – 75 ლარი ერთი ცვლილება;

დ) სდ-ის შეჩერებული სერტიფიკატის განახლების განცხადების განხილვა/სერტიფიკატის მოქმედების განახლება – 6000 ლარი;

ე) სდ-ის პროგრამების ახალი რედაქციის შეთანხმება – 150 ლარი;

ვ) სდ-ის პროგრამაში ცვლილებების შეტანა – 25 ლარი;

ზ) სდ-ის სერტიფიკატის დანართის დუბლიკატის გაცემა – 25 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 50 ლარი;

თ) უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების აღიარება – 250 ლარი;

ი) მასწავლებლის მოწმობის გაცემა – 75 ლარი;

კ) მასწავლებლის მოწმობის დუბლიკატის გაცემა – 25 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს – 50 ლარი;

ლ) საფრენოსნო-ტექნიკური პერსონალის მოწმობების გაცემა – 35 ლარი;

**საკონტაქტო ინფორმაცია: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 0158, თბილისი, აეროპორტი**

**ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტრების დეპარტამენტი**

**ტელ: (+995 32) 2 94 80 09; ფაქსი: (+995 32) 2 94 80 09 / E-mail: [flightstandards@gcaa.ge](mailto:flightstandards@gcaa.ge)**

**ვებგვერდი: [www.gcaa.ge](http://www.gcaa.ge)**